



განახლებადი
ენერჯის
რეგიონები

გზამკვლევი განახლებადი ენერჯის
პარტნიორობის დასამყარებლად

ინფორმაცია ავტორების შესახებ

კლიმატის ალიანსი
ევროპის სამდივნო
გალვანიშტრასე 28 I 60486 მაინის ფრანკფურტი
ტელ. +49 69 717 139-0
ელ. ფოსტა: europe@climatealliance.org
www.climatealliance.org

რედაქტორები INFRASTRUKTUR და UMWELT,
ბირგიტ ჰაუპტერი, სტეფანი ვაინერი, ვიქტორია
პასტერნაკი

კლიმატის ალიანსი,
ელენ რიზოტი, სუზანა ბრანდტი, სვენია ენკე

RegEnergy-ის პარტნიორობასთან ერთად

პროექტი RegEnergy დაფინანსებულია Interreg North-
West-Europe პროგრამის მიერ ევროპის რეგიონული
განვითარების ფონდის ფარგლებში.






დიზაინი Loewenherz Design

დაბეჭდილია 100%-ით გადამუშავებად ქალაქებზე
გამოქვეყნდა 2022 წლის მაისში



სახელმძღვანელოს
გამოყენების
წესი

განახლებადი ენერჯის პარტნიორობა - იდეიდან რეალიზაციამდე

	იდეა	4
საქალაქო-სასოფლო პარტნიორობა განახლებადი ენერჯისთვის		
	დანყება	14
წინაპირობის ანალიზი და პარტნიორობის დამყარება		
	გამონვევები და გადანყვეტილებები	22
არსებული ბარიერებისთვის პრაქტიკული გადანყვეტილებების მოძიება		
	შემონმება და ადაპტირება	30
აკონტროლეთ და გაუზიარეთ თქვენი გამოცდილება		
	RegEnergy-ის შესახებ	32
RegEnergy-ის პროექტისა და პარტნიორობის შესახებ		



იდეა: საქალაქო-სასოფლო პარტნიორობა განახლებადი ენერჯისთვის

განახლებადი ენერჯის პარტნიორობა – ურბანული მოთხოვნა და სასოფლო მიწოდება

ურბანულ რაიონებს, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში, ევროკავშირში ენერჯის ყველაზე მაღალი მოხმარება აქვთ და ისინი კვლავ მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ენერჯის არაგანახლებად წყაროებზე. ემისიების შემცირების მიზნების მისაღწევად, რეგიონებმა უნდა დააბალანსონ საკუთარი ენერჯეტიკული მოთხოვნა განახლებადი ენერჯის ადგილობრივი მიწოდებით. შესაბამისად, ურბანულმა რაიონებმა, როგორც ენერჯის მსხვილმა მომხმარებლებმა, რომლებსაც არ აქვთ განახლებადი ენერჯის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი, უნდა ითანამშრომლონ მიმდებარე სასოფლო რაიონებთან, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი ენერჯეტიკული საჭიროებები მომავალში. სასოფლო რაიონებს, როგორც წესი, აქვთ განახლებადი ენერჯის წარმოების მნიშვნელოვანი სიმძლავრეები, მაგრამ ენერჯის შეზღუდული მოხმარება.

განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობა – ორმხრივად მომგებიანი სქემა

განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობა ქმნის ორმხრივად მომგებიან სიტუაციას სოფლიდან მიწოდებასა და ქალაქის მოთხოვნას შორის: ქალაქის მომხმარებლები განახლებადი ენერჯის მოთხოვნილებებს საიმედო რეგიონული მიწოდებიდან იკმაყოფილებენ. განახლებადი ენერჯის სასოფლო მწარმოებლები იღებენ წვდომას ქალაქის მომხმარებლებზე. შედეგად, მთლიანი რეგიონი იღებს სარგებელს გაფართოებული ურთიერთთანამშრომლობით, ენერჯეტიკასა და სხვა ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებით. რეგიონული ფინანსური და პროფესიული რესურსების გაერთიანება, საერთო განვითარების იმპულსს წარმოადგენს.

განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობა – მხარდაჭერილი REGENERGY-ის მიერ

პროექტი RegEnergy მიზნად ისახავდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში განახლებადი ენერჯის წილის გაზრდას, ურბანიზებულ და მიმდებარე სასოფლო ტერიტორიებს შორის განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობის დამყარებით. RegEnergy-ის პარტნიორობა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია და დაინტერესებულ რეგიონებს აქტიურად უჭერს მხარს მათ მიერ საკუთარი განახლებადი ენერჯის პარტნიორობის ჩამოყალიბებაში.



„ყველა პროექტი, რაც არ უნდა პატარა იყოს, მნიშვნელოვან შთაგონების წყაროს წარმოადგენს 2030 წლამდე ემისიების შემცირების ჩვენი მიზნების მისაღწევად“

ჯონ გრინი, პლიმუთის საქალაქო საბჭო, დიდი ბრიტანეთი

1 განახლებადი ენერჯის წილის მაქსიმიზაცია ევროპული ამბიციების მისაღწევად

ევროკავშირის კლიმატური მიზანი ითვალისწინებს სათბურის გაზების წმინდა ემისიის მინიმუმ 55%-ით შემცირებას 2030 წლისთვის, 1990 წლის დონესთან შედარებით. ევროკავშირის მწვანე შეთანხმება ადგენს კლიმატ-ნეიტრალობის მიზანს 2050 წლისთვის. ამ მიზნების მისაღწევად, საჭიროა

განახლებადი ენერჯის წილის გაზრდა წარმოებასა და მოხმარებაში. ევროკავშირის ქვეყნებში ენერჯის წარმოების ცენტრალიზებული სისტემები და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოები უნდა რესტრუქტურირდეს უფრო მოქნილი და დეცენტრალიზებული მიდგომისკენ.

2 ურბანული ტერიტორიების მაღალი ენერგომოხმარების დაკავშირება მიმდებარე სასოფლო რაიონების განახლებადი ენერჯის წარმოების პოტენციალთან

RegEnergy-ის მიდგომა ქალაქ-სოფლის განახლებადი ენერჯის სფეროს პარტნიორობის შესაქმნელად მხარს უჭერს მომავლის დეცენტრალიზებული ენერჯეტიკული მოდელის პრინციპებს. ის ზრდის

რეგიონულ ენერჯეტიკულ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ის მრავალდონიანი კომუნიკაციისას. იძლევა მოქნილი პოლიტიკით კომპლექსური მუშაობის საშუალებას.

3 განახლებადი ენერჯის პარტნიორობაში ადგილობრივი ინვესტიციები ქმნიან მრავალ სარგებელს

ქალაქისა და სოფლის პარტნიორობა უზრუნველყოფს ადგილობრივი წყაროებიდან მწვანე ენერჯის ხელმისაწვდომობას ქალაქის მომხმარებლებისთვის. მეორეს მხრივ, სოფელი იღებს დამატებით შემოსავალს და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს, ასევე ფინანსურ და პროფესიულ რესურსებს. ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მიერ განახლებად

ენერჯიაში ინვესტირება ნიშნავს ადგილობრივ განვითარებაში ინვესტირებას და ადგილობრივი ღირებულებების შექმნას. თუ სოფლის მოსახლეობა, ასეთი პარტნიორობის დაინახავს სარგებელიანობაში დარწმუნდაბა, ენერჯეტიკული გადაქმნა წარმატებულად განხორციელდება!

4 იფიქრეთ ლოკალურ დონეზე ენერჯეტიკული გადასვლისათვის – ევროკავშირის ენერჯეტიკული თემები მნიშვნელოვან იმპულსს იძლევიან

განახლებადი ენერჯის თემების ცნება განსაზღვრულია ევროკავშირის განახლებადი ენერჯის დირექტივაში. ენერჯეტიკული თემი, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს მოქალაქეებს, საჯარო ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ენერჯეტიკული

გადასვლის პროცესში განახლებად ენერჯიაში ერთობლივი ინვესტიციების განხორციელებით, წარმოებით, გაყიდვითა და განაწილებით. ენერჯეტიკული თემები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს ადგილობრივი ტერიტორიული მიდგომის ქვაკუთხედს და ქალაქი-სოფლის პარტნიორობისთვის.

წინასწარი რეკომენდაციები

განახლებადი ენერჯის პარტნიორობების განვითარებისათვის

ნაბიჯი

06

პარტნიორობის განხორციელება

საინფორმაციო და საკომუნიკაციო აქტივობების გაძლიერების პარალელურად, ინტენსიური ხდება მოლაპარაკებები ფორმალური და არაფორმალური თანამშრომლობის გასავითარებლად.



ნაბიჯი 04

მოთხოვნის და მიწოდების შესაბამისობა

მესამე ეტაპზე დეტალურად განიხილება მიწოდების პოტენციური სოფლებში და მოთხოვნა ქალაქებში. შემუშავდება რეგიონული სტრატეგია მათი შესაბამისობაში მოყვანისთვის.



ნაბიჯი 05

პარტნიორობის ტიპები

შეირჩევა პარტნიორობის ყველაზე შესაფერისი ტიპი, ხოლო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა ამ ეტაპის ძირითადი ამოცანაა.


მონიტორინგი და მასშტაბირება

დასკვნით ეტაპზე იქმნება ანგარიშგებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, ასევე სტრუქტურები პარტნიორობის ფარგლებში უწყვეტი და პროდუქტიული თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

ნაბიჯი 02

არსებული მდგომარეობა

პირველ ეტაპზე განიხილება ურბანული და სასოფლო ტერიტორიების ბარიერები და შესაძლებლობები. შემოწმდება შესაბამისი დაინტერესებული მხარეები (მაგ., მომხმარებლები, მწარმოებლები, ინფრასტრუქტურა) და განისაზღვრება პარტნიორობის შესაძლო ტიპები.



ნაბიჯი 03

პოტენციური გადაწყვეტილებები

შემუშავდება ენერჯის პოტენციური პარტნიორობის გრძელვადიანი და ურთიერთსასარგებლო სცენარები. ტარდება ხარვეზების ანალიზი სისუსტეების გამოსავლენად და იდენტიფიცირებული სცენარების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ნაბიჯი 01



თქვენს რეგიონში ურბანულ-სოფლის პარტნიორობის დამყარება



მომზადების ფაზა:

დანყება. ერთობლივი ხედვის შექმნა, თქვენი რეგიონისთვის განახლებადი ენერჯის კონკრეტული მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართვა.

ამ ფაზაში თქვენი პარტნიორობის ჩამოყალიბების პროცესი შემდეგი ნაბიჯებისგან შედგება:




1. **გააანალიზეთ სტატუს კვო** – რა არის თქვენი რეგიონის ძლიერი მხარე? განახლებადი ენერჯის წარმოების რა პოტენციალი არსებობს? რამდენია მოთხოვნა?
2. **გაიგეთ წინაპირობები** – რა სამართლებრივი, ინსტიტუციური და ბაზართან შესაბამისობის ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული?
3. **პარტნიორობის განვითარება** – ვინ არიან შესაბამისი მხარდამჭერები? ვისი ჩართვაა საჭირო?
4. **შეამოწმეთ მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისობა** – რა ვარიანტები არსებობს მიწოდებისა და მოთხოვნის დასაკავშირებლად?



განხორციელების ფაზა:

აქამდე მიღწეული შედეგების საფუძველზე, განხორციელების ფაზის მიზანია პარტნიორობის იურიდიული, ტექნიკური და ეკონომიკური ჩამოყალიბება, ასევე მისი სოციალური განმტკიცება. იდენტიფიცირებული გამოწვევების დაძლევა საჭიროა თქვენი პარტნიორობისთვის კრეატიული და ინოვაციური გადაწყვეტილებების მოძიებით.



პარტნიორობის განხორციელების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას სირთულები. ძირითადად, მათი მოგვარება უნდა მოხდეს პარალელურად, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით.

1. **მოცემულ ჩარჩოებში კრეატიული გადაწყვეტილებების მოძიება**
2. **განახლებადი ენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის მართვა**
3. **მიმღებლობის გაზრდა საზოგადოების ჩართულობით**



საექსპლუატაციო ფაზა:

მონიტორინგი, ინფორმაციის გაზიარება და ადაპტირება – განხორციელების შემდეგ, თქვენი განახლებადი ენერჯის პარტნიორობა საჭიროებს მუდმივ მონიტორინგს.



რადგან ჯერ არ არსებობს განახლებადი ენერჯის რეგიონების შექმნის მზა მოდელები, კარგად შესწავლილი გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ნიმუში ამ სახის პარტნიორობის შემდგომი განვითარებისთვის. გარდა ამისა, მუდმივად ცვალებადი სამართლებრივი და ეკონომიკური ფონი გულისხმობს დასახული მიზნების, ასევე პარტნიორობის შემადგენლობის, მუდმივად გადახედვას და ადაპტაციას.



დანება

დასაწყისისთვის აუცილებელია რეგიონის პოტენციალისა და შესაძლო ბარიერების ცოდნა. არსებული მდგომარეობის კარგი ცოდნა საშუალებას იძლევა, მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული ძლიერი მხარეები.

გარდა ამისა, ამავედროულად უნდა, დავინყოთ კავშირების დამყარება, ჩამოვყალიბოთ პარტნიორობული ურთიერთობა და მოვიზიდოთ მხარდამჭერები.

გააანალიზეთ სტატუს კვო

„რა არის ჩემი რეგიონის ძლიერი მხარე?“ და „რა პოტენციალი არსებობს განახლებადი ენერჯის წარმოების თვალსაზრისით?“ ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების შემდეგ, თქვენი რეგიონის, ენერგეტიკული სისტემის, შესაბამისი სათბურის გაზების ემისიებისა და სამომავლო განვითარების ამსახველი მონაცემები არსებული სტატუს კვოს შესახებ მყარ მტკიცებულებას იძლევა. განახლებადი ენერჯის წარმოების ადგილობრივი მოთხოვნისა და შესაძლებლობების გააზრება განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯია.



სამხრეთ-დასავლეთ ირლანდიაში განახლებადი ენერჯის პოტენციალის ანალიზი

3 ოლქის ენერგეტიკული სააგენტო (3cea) ეხმარება კილკენის კარლოუს, უექსფორდის და უოტერფორდის ოლქებს, რათა შეამცირონ CO2-ის ემისიები მდგრადი ენერგეტიკის სფეროში. 3cea-მ გააანალიზა სამართლებრივი კონტექსტი, რეგიონული გარემო, გამოწვევები და შესაძლებლობები განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობისთვის ოლქებში - კილკენი, კარლოუ და უექსფორდი: სოფლის მეურნეობიდან გამოყოფილი სათბურის გაზები ირლანდიის ეროვნული ემისიების 35%-ზე მეტს შეადგენს და მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო გაიზრდება [3]. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ძირითადად სასოფლო რეგიონია, ამიტომ სათბურის გაზების ემისიების შემცირების პოტენციალი მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან, ტყიდან და ნარჩენებიდან მიღებული ბიოენერჯით. ამის შემდეგ ჩატარდა რეგიონის 3 ოლქში ობიექტების პოტენციური განთავსების ადგილების ანალიზი, რამაც განაპირობა განახლებადი ენერჯის პარტნიორობის შექმნა: 3cea-მ ითანამშრომლა საჯარო მომხმარებლებთან, რათა

გამოეკვლინა რამდენიმე ადგილი (მაგალითად, კილკენისა და უექსფორდის ქალაქებში მანქანა-დანადგარების საწყობი და სახანძრო სადგური), რომლებსაც შეეძლოთ Ormonde Upgrading-ის მიერ წარმოებული განახლებადი ბიოგაზის (ბიომეთანის) გამოყენება.



მეცხოველეობა ირლანდიაში სათბურის გაზების დიდი რაოდენობით გამოყოფას იწვევს. ამავედროულად, ის ბიოენერჯის მაღალ პოტენციალს ქმნის. (AS_PHOTOGRAPHICS / pixabay)

შეისწავლეთ წინაპირობები

რუკაზე ნაჩვენებია ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განახლებადი ენერჯის სტიმულირების მაგალითები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაბრკოლება არსებობს, ასევე არსებობს მრავალი შესაძლებლობაც, რომელთა გამოყენებაც დამატებით სტიმულს იძლევა.

„პარტნიორობის დამყარებისას, თქვენ აცნობიერებთ, რომ არსებობს ტექნიკური, მარეგულირებელი, ეკონომიკური და სოციალური შეზღუდვები. ისინი განსხვავდება სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში. აუცილებელია შესაბამისი ფაქტორების გაგება, რომლებიც გასათვალისწინებელია. ასევე საჭიროა ახალი ტექნოლოგიებისთვის ახალი ნიადაგის შექმნა.“

მარკ ვერმერენი, FLUX 50, ბელგია

ირლანდია

ირლანდია ფინანსურ მხარდაჭერას უწევს სათემო პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ 0.5-5 მეგავატი სიმძლავრის განახლებადი ელექტროენერჯის წარმოებას.

განახლებადი ენერჯის გენერაციის დაფინანსება ხორციელდება მესყიდვის სუბსიდირებული ტარიფების მეშვეობით: ადგილობრივი მწარმოებლები (11 კვტ-მდე) იღებენ გარანტირებულ ტარიფს, ხოლო არაადგილობრივი მწარმოებლები (მაქსიმალური სიმძლავრე 50 კვტ) იღებენ ტარიფს კონკურენტული საბაზრო ტარიფის შესაბამისად.

ამჟამად განიხილება ენერგომომარაგების ურთიერთ თანამშრომლობითი ვაჭრობის მხარდაჭერი მარეგულირებელი ჩარჩო.

ამ შეთანხმების თარიღის მდგომარეობით, არ არსებობს ბიოგაზის/ბიომეტანის წარმოების სქემა განახლებადი სითბოს ან განახლებადი სატრანსპორტო საწვავის წარმოებისთვის.

გაერთიანებული სამეფო

განახლებადი ენერჯის პროექტების სიცოცხლისუნარიანობაზე, მშორად გავლენას ახდენს ქსელთან მიერთების მაღალი ხარჯები.

დამატებითი შემოსავლის უზრუნველყოფა შესაძლებელია ქსელის მოქნილობის საბაზრო კონტრაქტებით, მომწოდებლებს ლიცენზია უნდა ჰქონდეთ, თუმცა ლიცენზირებული მომწოდებლის სტატუსის მოპოვება მცირე ორგანიზაციებისთვის გამართლებული არ არის ხარჯების, რისკებისა და სამართლებრივი ტვირთის გამო.

მომხმარებლებს მხოლოდ ერთი ენერგომომწოდებლის ყოლის უფლება აქვს, რაც ზღუდავს ურთიერთთანამშრომლობით ვაჭრობას. ადგილობრივ მომწოდებლებსა და მომხმარებლებს არ შეუძლიათ გამანაწილებელი ქსელის გაზიარება ვირტუალური აღრიცხვის ქსელების შესაქმნელად.

საფრანგეთი

განახლებადი ენერჯის ყველა წყარო სარგებლობს დახმარების სქემებით, რათა ისინი კონკურენტუნარიანი გახდნენ. ესენია: შეღავათიანი ტარიფები, ანაზღაურების სქემა. ასევე არსებობს ფინანსური დახმარების სქემა განახლებადი სითბოს წარმოებისა და განაწილებისთვის.

არსებობს ფინანსური დახმარების სქემა, რომელიც მიზნად ისახავს განახლებადი სითბოს წარმოების გაზრდას ენერჯის აღდგენის ფუნქციის მქონე ობიექტებისთვის, ასევე მათთან დაკავშირებული თბოქსელების განვითარებას.

ენერჯის კვალიფიციურმა მწარმოებლებმა ელექტროენერჯის მესყიდვის ხელშეკრულება EDF-თან (Électricité de France) უნდა გააფორმონ.

შესაძლებელია ენერჯის ინდივიდუალური და კოლექტიური თვითმომხმარება, ასევე 3 მეგავატამდე ენერჯის შენახვა და მართვა

ნიდერლანდები

განახლებადი ენერჯის მწარმოებლებისთვის პრემიუმ შეღავათიანი სქემა ფარავს დაზოგილი CO₂-ის ემისიების სავარაუდო საბაზრო ფასსა და ტექნოლოგიის ღირებულებას შორის სხვაობას. იგი გადაიხდება ენერჯის მომხმარებლის გადასახადებზე დანესებული გადასახადის მეშვეობით.

ენერჯის დაგროვების სისტემების მქონე ქარის და მზის ფოტოელექტროული დანადგარების დამონტაჟებისთვის, შესაძლებელია ორმაგი ტარიფი დანესდეს. გარდა ამისა, განახლებადი ენერჯის მწარმოებლები იღებენ სესხებს და საგადასახადო შეღავათებს. ბიოგაზი არ რეგულირდება, მისი განაწილება შესაძლებელია ცალკეული მილსადენებით. ბიომეტანი უნდა მიენოდოს ეროვნულ ენერგო ქსელს.

ბელგია

ელექტროენერჯის ქსელში მიწოდება დაშვებულია. არსებობს ქსელის გამოყენების კომპენსაციის გადასახადი (10 კვტ-მდე), მაგრამ ჭკვიანი შრიცხველების გამოყენება ათავისუფლებს მომხმარებლებს ამ გადასახადისგან. წელიწადში ორჯერ ტარდება აუქციონი მზის ფოტოელექტროული დანადგარების (დაახლოებით 25 კვტ) მხარდასაჭერად.

ფიზიკურ პირებს შორის ვაჭრობა დაშვებულია, მაგრამ ქსელის გადასახადის პირობით. ორ სანარმოს შორის პირდაპირი დაკავშირებისთვის არსებობს უფრო დაბალი ტარიფები. დახურული განაწილების ქსელები დაშვებულია მხოლოდ გარკვეულ პირობებში.

გერმანია

არსებობს შეღავათიანი ტარიფები მზის ფოტოელექტროული (100 გვტ-მდე), ქარის (ხმელეთზე 71 გვტ-მდე / ოფშორზე 20 გვტ-მდე) და ბიომასისთვის. „ინოვაციური აუქციონები“ წელიწადში დამატებით 500-850 მვტ სიმძლავრეს (ტექნოლოგიისგან დამოუკიდებლად) აწვდის. შეღავათიანი ანაზღაურების სტრუქტურა მოახდენს ელექტროსადგურების ოპერატორების მოტივირებას, დაამონტაჟონ ენერჯის შენახვის სისტემები.

მინის 2% ქარის ენერჯისთვის უნდა იყოს განკუთვნილი. სახურავებზე მზის ენერჯის სისტემების დაყენება სავალდებულოა ახალი კომერციული მენობებისთვის, ხოლო მეიჯარეებისთვის სტიმულები ხელს უწყობს მზის ფოტოელექტროული სისტემების დამონტაჟებას.

შვეიცარია

მზის ფოტოელექტროული და ჰიდროელექტრო დანადგარების დამონტაჟებისთვის შესაძლებელია საინვესტიციო სუბსიდიების მიღება. თუმცა, შვეიცარიაში არ არსებობს მკაფიო რეგულაცია განახლებადი ენერჯის შენახვის შესახებ.

ეკონომიკურად უფრო საინტერესოა თვითმომხმარება, ვიდრე ქსელისთვის მიყიდვა. ადგილობრივ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან თვითმომხმარების ჯგუფი. გენერატორებს უფლება აქვთ უარი თქვან ქსელისთვის განახლებადი ენერჯის მიწოდებაზე, რაც ზღუდავს გაცვლის მოქნილობას.


პარტნიორობის განვითარება

ვინ უნდა იყოს ჩართული - პირდაპირ ან ირიბად?

პარტნიორობის ჩამოყალიბებაში უშუალოდ ჩართული დაინტერესებული მხარეები, როგორც წესი, არიან ისინი, ვინც ყველაზე მეტ სარგებელს მიიღებს: მომხმარებლები, მწარმოებლები, ინფრასტრუქტურის მიმწოდებლები. ასევე უნდა განისაზღვროს არაპირდაპირი მონაწილე ან არაპირდაპირი გავლენის მქონე ინტერესთა ჯგუფები. პარტნიორობის წარმატება ასევე დამოკიდებული იქნება რეგიონში მისი მიღების დონეზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია ადგილობრივი და რეგიონული დონეზე გადამწყვეტილების მიმღები პირების, ასევე მოქალაქეებისა და ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების ჩართვა. ისინი ხელს უწყობენ თქვენს ხედვას, ქმნიან მიმღებლობას და მხარს უჭერენ თქვენს პარტნიორობას.

პარტნიორობის რომელი ტიპია შესაფერისი?

პარტნიორობის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. განსაზღვრეთ თქვენი რეგიონისთვის თანამშრომლობის რომელი დონეა სასარგებლო - საკმაოდ არაფორმალური, კოორდინირებული თანამშრომლობა თუ უფრო ფორმალური, ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობა.



პარტნიორობის ტიპები შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური - როგორცაა ორმხრივი შეთანხმებები, შესყიდვის კონტრაქტები ან სხვადასხვა სახის დახმარების განვითარება: ტექნიკური, ცოდნის გადაცემის, კოორდინაციის, ფინანსური.

Counties Energy Agency

პოტენციური დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის უფრო დეტალური განხილვა - ენერგეტიკული პარტნიორობის მაგალითები ბელგიაში (მარცხნივ) და გაერთიანებულ სამეფოში (მარჯვნივ)

მიკროქსელის განვითარება და ენერჯის გაზიარების ხელშეწყობა ბრიუსელის (ბელგია) მიმდებარე ბიზნეს პარკსა და საცხოვრებელ ზონაში.

მწვანე ენერჯის პარკი: მზის ელექტროენერჯის მწარმოებელი და აკუმულატორის სისტემის ოპერატორი

Flux50: ბატარეის სისტემის მფლობელი/ინვესტორი წარმოებისა და მოხმარების დასაბალანსებლად

მონაცემთა ცენტრი: ელექტროენერჯის მთავარი მომხმარებელი და ნარჩენი სითბოს მიმწოდებელი

ადგილობრივი კომპანიები: ელექტროენერჯისა და სითბოს მომავალი მწარმოებლები

საცხოვრებელი ტერიტორიის დეველოპერი: ნარჩენების სითბოს პოტენციური მომხმარებელი

რაიონული გათბობის სისტემის (პოტენციური) ოპერატორი: პასუხისმგებელია გათბობის ქსელის ფუნქციონირებაზე

უნივერსიტეტი: (მომავლის) ენერჯის გაზიარების ნაკადებისა და ურთიერთთანამშრომლობითი ვაჭრობის მოდელირება

ფლამანდიის რეგიონის განაწილების სისტემის ოპერატორი (DSO): ინფრასტრუქტურის ხელახალი გამოყენების ხელშეწყობა

ასეს მუნიციპალიტეტი: პასუხისმგებელია მშენებლობის ნებართვებზე, მაგ. გათბობის ქსელისთვის

ფლამანდიური მარეგულირებელი VREG: პასუხისმგებელია ტარიფის სტრუქტურაზე, რომელიც ხელს უშლის ეკონომიურად ეფექტური ენერჯის გაზიარებას.

იურიდიული ფირმები: ადგილობრივი ენერგეტიკული საზოგადოებების დანერგვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

ელექტროენერჯის წარმოების ძირითადი ორგანიზაციები პლიმუთსა და მის შემოგარენში, დიდი ბრიტანეთი

Western Power Distribution: პასუხისმგებელია ელექტროენერჯის დისტრიბუციაზე რეგიონში

გაზისა და ელექტროენერჯის ბაზრების ოფისი (Ofgem): პასუხისმგებელია დიდ ბრიტანეთში ენერგეტიკის რეგულირებაზე

ელექტროენერჯის მსხვილი მომწოდებლები: მათ შორის British Gas, EDF Energy, EON, Npower და Scottish Power

ელექტროენერჯის ადგილობრივი გენერატორები: საზოგადოებრივი ენერგეტიკული ორგანიზაციები, მათ შორის Creacombe CIC, Yealm Community Energy და Plymouth Energy Community

მხარდამჭერი ორგანიზაციები: მათ შორის დევონის სათემო ენერგეტიკული ქსელი, დევონის ენერგეტიკული კოლექტივი CIC და სათემო ენერგეტიკა ინგლისი

მსხვილი მომხმარებლები: მაგალითად, დერი-ფორდის საავადმყოფო და ადგილობრივი ინდუსტრია

Regen: არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ ექსპერტიზას, დარგობრივ კვლევას, ბაზრის ანალიზს, პოლიტიკის ცოდნას დაბალნაბმირბადიანი ტექნოლოგიის შესაძლებლობების შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებისთვის.

პლიმუთის საქალაქო საბჭო და დევონის საგრაფო საბჭო: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც მაკოორდინებელ როლს ასრულებენ, ასევე არიან ელექტროენერჯის მომხმარებლები და ინვესტორები.



შეისწავლეთ მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისობა

განახლებადი ენერჯის მარეგულირებელი ჩარჩოსა და თქვენი განახლებადი ენერჯის პარტნიორობის ხედვის გათვალისწინებით, საჭიროა შესწავლილ იქნას მიწოდებისა და მოთხოვნის დაკავშირების ვარიანტები. REGENERGY-ის პარტნიორობის მიერ შემუშავებული შემდეგი საკონტროლო სია აჯამებს ძირითად გასათვალისწინებელ საკითხებს.

საკონტროლო სია „მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისობის შემუშავების დანება“

- ✓ გაიგეთ სტატუს კვო, არსებული ბარიერები და შესაძლებლობები ურბანულ და სოფლის რაიონებში მყარი მტკიცებულებების საფუძველზე
- ✓ გააანალიზეთ განახლებადი ენერჯის წარმოებისა და მიწოდების პოტენციური თქვენს სასოფლო ტერიტორიაზე
- ✓ განახლებადი ენერჯის მოხმარების მოთხოვნის პოტენციალის ანალიზი ურბანულ ტერიტორიაზე
- ✓ შეაფასეთ სამომავლო ენერგეტიკული ბაზარი
- ✓ ქალაქსა და სოფლის ტერიტორიებს შორის ფუნქციური კავშირების იდენტიფიცირება
- ✓ დაუკავშირდით დაინტერესებულ მხარეებს: მომხმარებლებს, მწარმოებლებს, ინფრასტრუქტურას, სხვა - და აირჩიეთ პოტენციური პარტნიორობის ტიპი
- ✓ გაითვალისწინეთ საზოგადოების მხარდაჭერა/მოსაზრება განახლებადი ენერჯის ან მისი სხვადასხვა წყაროების შესახებ
- ✓ განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობის (ეკონომიკური) პოტენციალის ანალიზი (ბიზნეს ქეისები, ღირებულებათა ჯაჭვები, სერტიფიცირება და სხვა)
- ✓ განავითარეთ გრძელვადიანი და ორმხრივად მომგებიანი სცენარები თქვენი განახლებადი ენერჯის პარტნიორობისთვის



გამონვევები და გადაწყვეტილებები

შემდეგ ეტაპზე, პარტნიორობა უნდა ჩამოყალიბდეს იურიდიულად, ტექნიკურად და ეკონომიკურად. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ-სოფლის პარტნიორობას მრავალი ბარიერი უშლის ხელს, უკვე არსებობს კრეატიული გადაწყვეტილებები.

რა ბარიერები ან გამონვევები არსებობს?

პარტნიორობის განხორციელების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას ბარიერები:

- ინსტიტუციური და სამართლებრივი სიტუაცია სხვადასხვა ქვეყანაში რთულია. მაგალითად, ფიქსირებული ტარიფები ან ქსელთან მიერთების ხარჯები დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ დასაბუთებაზე.
- ერთ-ერთი მთავარი გამონვევა მოთხოვნა-მიწოდების ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული მართვაა, რადგან განახლებადი ენერჯის გამომუშავება მუდმივი არ არის, არამედ, მაგალითად, დამოკიდებულია ამინდზე (მზის ფოტოელექტრული სადგურებისა და ქარის ტურბინებისთვის).
- გარდა ამისა, მოქალაქეებისა და ბიზნესის მიერ განახლებადი ენერჯის ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისად, დანერგვა ზოგჯერ შეზღუდულია.

რა პოტენციური გადაწყვეტილებები არსებობს?

აუცილებელია საიმედო გადაწყვეტილებების პოვნა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვადასხვა რეგიონში არსებული ფონური პირობების მიხედვით. ოპტიმალური ინსტიტუციური და ადმინისტრაციული მოწყობის შემუშავება და განხორციელება - როგორცაა ქალაქებსა და სოფლებს შორის თანამშრომლობის შეთანხმებები - ერთ-ერთი პოტენციური სტრატეგიაა.

განახლებადი ენერჯის პოტენციური პარტნიორობის გრძელვადიანი და ორმხრივად მომგებიანი სცენარები ხელს უწყობს სარგებლის შექმნას როგორც ქალაქის, ასევე სოფლის თემებისთვის.



იპოვეთ კრეატიული გადაწყვეტილებები მოცემული მარეგულირებელ ჩარჩოებში

მიუხედავად იმისა, რომ განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობა სხვადასხვა შესაძლებლობას იძლევა, კონტრპროდუქტიული კანონმდებლობა, რეგულაციები, ადმინისტრაციული ბარიერები და რთული ადგილობრივი ინსტიტუციური მოთხოვნები ზღუდავს მათ პოტენციალს.

როგორც ნაჩვენებია 12/13 გვერდზე, ინსტიტუციური და სამართლებრივი სიტუაცია სხვადასხვა ქვეყანაში რთულია. მაგალითად, ტარიფების სტრუქტურები მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად, ერთ რეგიონში საიმედო და მომგებიანი გადაწყვეტა შეიძლება ეკონომიკურად ისეთი მიმზიდველი არ იყოს ან საერთოდ არ იყოს დაშვებული სხვა რეგიონებში.

ეროვნული ჩარჩო პირობები ყოველთვის არ იძლევა განახლებადი ენერჯის სასურველი მიდგომების გამოყენების საშუალებას. საჭიროა მოიძებნოს კრეატიული გადაწყვეტილებები, რომლებიც მოცემულ გარემოებებში იმუშავებს.

მიუხედავად ამისა, ღირს ერთმანეთისგან სწავლა და იმის გაგება, თუ რომელმა რეგულაციებმა გახადა შესაძლებელი დადებითი ცვლილებები სხვა რეგიონებში.

„ერთ-ერთი გამონვევაა ფინანსური და ინსტიტუციური ბარიერების გადალახვა, რათა თემებს დაეხმარონ ენერგეტიკული გარდაქმნის პროცესში მონაწილეობაში. მათ სჭირდებათ როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური მხარდაჭერა და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და რეგულაციების „დანადმულ ველზე“ სამოძრაოდ. ირლანდიაში არ არსებობს მარტივი გზა იმ მოქალაქეების ორგანიზებისთვის, რომელთაც სურთ ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობა ადგილობრივი თემების კეთილდღეობისთვის.“

პედი ფელანი, 3cea, ირლანდია

პარტნიორობა ბიომეთანის გამოყენების ხელშეწყობისთვის ირლანდიაში და ნიდერლანდებში

კომპანიებმა Ormonde Upgrading-მა ირლანდიაში და Waterstromen-მა ნიდერლანდებში შექმნეს პარტნიორობა, რათა ხელი შეეწყოს ბიოგაზის/ბიომეთანის გამოყენებას თავიანთ რეგიონებში. მაგალითები აჩვენებს ბიომეთანის გამოყენების ხელშეწყობის მრავალფეროვან შესაძლებლობებს სხვადასხვა სამართლებრივი და პროცედურული შესაძლებლობებისა და დაბრკოლებების პირობებში. განსხვავებული მიდგომები, ხელს უწყობს ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საჭიროების გაგებას.

ირლანდიაში, მიუხედავად იმისა, რომ ბიომეთანის გამოყენებას შეუძლია დეკარბონიზაციასა და ენერგოსაფრთხოებაში წვლილის შეტანა, მისი ინტეგრაცია ირლანდიის გაზის ქსელში სიძნელეებს აწყდება. ბიოგაზისა და მისი განახლებული ვერსიის, ბიომეთანის, არსებულ ქსელში ჩატუმბვას ხელს უშლის მაღალი ხარჯები და ავტორიზაციის ბუნდოვანი პროცესი. ბიომეთანის პოტენციალის გამოსავლენად და ქსელთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად შემუშავდა ალტერნატიული

ქსელგარეშე სისტემის მიწოდება-მოთხოვნის ჯაჭვი. ადგილობრივი ქსელგარეშე პარტნიორობა ბიომეთანს მწარმოებლისგან Ormonde Upgrading აწვდის პირდაპირ თავის მომხმარებლებთან სპეციალური სატრანსპორტო და შესანახი აღჭურვილობის გამოყენებით, რითაც მომხმარებლებს სთავაზობს დამატებით/ალტერნატიულ განახლებად ენერჯიაზე წვდომას.

ნიდერლანდებში ბიომეთანის შეშვება ბუნებრივი აირის სისტემაში დაშვებულია და მხარდაჭერილია პრემიუმ მიწოდების სქემით. გელდერლანდის პროვინციაში, დოეტი-ნხემში, ქალაქის ქარხნიდან ნახშირბადით მდიდარი ჩამდინარე წყლები და ქალაქის საცხოვრებელი სახლებიდან გამოყოფილი შლაკი გამოიყენება ბიოგაზის მისაღებად, რომელიც ქალაქის ქარხანას მოამარაგებს. უფრო მეტიც, განმედილი ბიომეთანის პირდაპირი შეყვანით ქსელში, მისი მარტივად მიწოდება შესაძლებელია ოჯახებისა და მრეწველობისთვის მიკროქსელების შექმნის გარეშე, რაც მოთხოვნას და მიწოდებას დააბალანსებს.



ხედი Ormonde Upgrading-ის ბიოგაზისა და ბიომეთანის წარმოების ობიექტზე უოტერფორდში, ირლანდია. წყარო: Ormonde Upgrading



ხედი Ormonde Upgrading-ის ბიოგაზისა და ბიომეთანის წარმოების ობიექტზე უოტერფორდში, ირლანდია. წყარო: Ormonde Upgrading

განახლებადი ენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის ინტეგრირებული მართვა

ენერჯეტიკის გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა განახლებადი ენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისობის დადგენა დროის, ტექნოლოგიისა და ადგილმდებარეობის თვალსაზრისით. განახლებადი ენერჯის წარმოება სულ უფრო დივერსიფიცირებული და დეცენტრალიზებული ხდება სხვადასხვა წყაროების, როგორცაა ქარის, მზის ენერჯის ან წყლის გამოყენებით, რაც სულ უფრო მეტ ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებს გულისხმობს. ამ საკითხების მართვა თქვენს რეგიონში განახლებადი ენერჯის პარტნიორობისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ისეთი გადაწყვეტილებები, როგორცაა „ჰკვიანი“ მიკროქსელები, რეგიონისთვის განახლებადი ენერჯის ცვლადი და წყვეტილი მიწოდებისა და მისი მოთხოვნის ინტეგრირებული მართვის შესაძლებლობებს იძლევა. გარდა ამისა, შენახვის სიმძლავრეების ინტეგრაცია, მაგალითად, აკუმულატორების სისტემების ან სატრანსპორტო საშუალებების ქსელთან დამაკავშირებელი ტექნოლოგიის მეშვეობით, ხელს უწყობს მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებას დროში.

ინფრასტრუქტურული ქსელების განვითარება, როგორცაა სითბოს ან ბიოგაზის მიწოდების ქსელები სოფლიდან ქალაქში, ასევე აუცილებელია მათი ფიზიკური დაკავშირებისთვის განახლებადი ენერჯის მომხმარებლებთან.

„განახლებადი ენერჯის სფეროში პარტნიორობას შეუძლია იმოქმედოს მიკროქსელების მსგავსად, ივაჭროს ერთმანეთთან და საბოლოოდ რეგიონულ „ჰკვიან“ ქსელად გადაიქცეს. ეს ქსელები დაფუძნებულია განაწილებულ, ადგილობრივ გენერაციის რესურსებზე, როგორცაა მზის, ქარის ენერჯია და დამაგროვებელი ბატარეები, რომელთა ერთობლივი გამოყენება შესაძლებელია ერთგვაროვან გარემოში, რაც განახლებადი ენერჯის ადგილობრივ თემებში ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.“

შონ ლიონსი, უოლტონის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ირლანდია

მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსება ადგილობრივი მიკროქსელებით, რომლებიც აერთიანებს ენერჯის სხვადასხვა წყაროს შვეიცარიაში, ირლანდიაში და ბელგიაში

RegEnergy-ის პარტნიორობმა, Planair-მა შვეიცარიაში, Walton Institute-მა ირლანდიაში და Flux50-მა ბელგიაში, ადგილობრივ მიკროქსელებში მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსება გადაწყვიტეს. ჩამოყალიბდა პარტნიორობა ადგილობრივ ბიზნეს-პარტნიორებთან, სამრეწველო კომპანიებთან და ოფისებთან. როგორც გადაწყვიტა, სხვა საკითხებთან ერთად, გამოიცადა ენერჯის შენახვის სხვადასხვა ვარიანტის ინტეგრაცია და მიწოდება-მოთხოვნის მართვის „ჰკვიანი“ პლატფორმები. ყველა პარტნიორმა გამოიყენა ენერჯის სხვადასხვა წყაროების კომბინირების უპირატესობები.

შვეიცარიულმა სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პარკმა Y-PARC-მა, რომელიც 200-ზე მეტ კომპანიას აერთიანებს, შეიმუშავა მეთოდი ელექტრომობილობისა და განახლებადი ენერჯის წარმოების გაერთიანებისთვის. ფოტოელექტროლი და ნადავარებიდან გამომდინარე ენერჯია მიეწოდება მიკროქსელს შენობების მოხმარების დასაფარად და ასევე ელექტრომობილობისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მობილური ან სტაციონარული აკუმულატორების ფუნქციაც კი შეასრულონ. ელექტრომობილობასა და განახლებადი ენერჯის გენერაციას შორის სინერჯია საშუალებას იძლევა, მზის ყოველდღიური ენერჯია შენახული იქნას საკუთარი მოხმარებისთვის და ამით შემცირდეს ქსელზე ზეწოლა.

უოლტონის ინსტიტუტმა შეიმუშავა პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა, რომელიც ენერჯეტიკული თემის მართვის საშუალებას იძლევა რეგიონალური ორგანოს, Sdarás na Gaeltachta-ს კომერციულ და სამრეწველო საცდელ ადგილებში. მზის და ქარის ენერჯიდან ადგილობრივად გენერირებული ენერჯია შეიძლება გაზიარდეს ერთრანგიანი სქემით კლასტერის ფარგლებში, რომელიც შემდეგ ოპტიმიზირდება მოქნილი დატვირთვებითა და ბატარეებში დაგროვების სისტემებით. ამრიგად, ოპტიმიზაციის პლატფორმა მაქსიმალურად ზრდის კლასტერის მდგრადობას და კოორდინაციას უწევს „ჰკვიანი“ ქსელის ტექნოლოგიების დანერგვას.

ფლამანდიური მწვანე ენერჯის პარკი (Flemish Green Energy Park) შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს მზის ენერჯიით 70-ზე მეტი კომპანიის, მონაცემთა ცენტრისა და მიმდებარე საცხოვრებელი რაიონის ელექტროენერჯისა და სითბოს მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ყველა კომპანია აწვდის განახლებად ენერჯიას მიკროქსელს, რომელსაც ენერჯის შენახვის სისტემები ეხმარება. ლაბორატორია Smart Village Lab აკონტროლებს აკუმულატორების, ფოტოელექტროლი კოლექტორების და ელექტრომობილობის დამტენი სადგურების ურთიერთქმედებას თვითმომხმარებისა და ქსელის სტაბილურობის ოპტიმიზაციის მიზნით.



შვეიცარიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პარკ Y-PARC-ის ხედი ივერდონში.

გაზარდეთ მიმღებლობა საზოგადოების ჩართულობით

სამართლებრივი, ინსტიტუციური და ტექნიკური გამონვევების გადაჭრის შემდეგ, ბევრი რეგიონი აწყდება დამატებით ბარიერს: მოსახლეობა გამოდის განახლებადი ენერჯის პროექტების წინააღმდეგ. მიზეზები სხვადასხვაგვარია: NIMBY ფრაზა - ანუ „ჩემს ეზოში არა“ - ასახავს მრავალი ოპონენტის ეჭვებს. რთული ტექნიკური ფონისა და საბაზრო სიტუაციის გაგება ხშირად შეზღუდულია და შესაბამისად, ჭარბობს სკეპტიციზმი.

ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს საჯარო ადმინისტრაციებისა და მოქალაქეების აქტიური ჩართულობა განახლებადი ენერჯის პარტნიორობაში, რაც რეგიონისთვის დამატებით (ფინანსურ) ღირებულებას შექმნის. საჯარო ორგანოების პარტნიორობაში ჩართვის უპირატესობებმა შეიძლება გამოიწვიოს ადმინისტრაციული სტრუქტურის გაძლიერება, ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება, დაფინანსების და დამატებითი რესურსების მოზიდვა. საჯარო ორგანოებს შეუძლიათ შექმნან სინერჯის ეფექტი, რაც თავის მხრივ გაზრდის მოქალაქეების მხარდაჭერას, მაგალითად, სოციალურ საცხოვრებელში მწვანე ენერჯიაზე ფასდაკლებების შეთავაზებით.

მხარდაჭერის გაზრდის კიდევ ერთი ვარიანტია განახლებადი ენერჯის წარმოების პროექტების პოტენციალის, საიმედოობისა და უსაფრთხოების საჯაროდ დემონსტრირება.

„ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ინოვაციურ ადმინისტრაციულ კონტრაქტებს უზარმაზარი პოტენციალი აქვთ განახლებადი ენერჯის რეგიონების იდეის პრაქტიკაში განსახორციელებლად. ისინი ქმნიან ან აღადგენენ კავშირებს საქალაქო და სასოფლო ტერიტორიებს შორის და შესაბამისად, ბევრ დამატებით სიკეთეს ქმნიან გარდა ენერჯომომარაგებისა. ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა ზრდის განახლებადი ენერჯის მიმართ მიმღებლობას და ინტერესს.“

სილვი მინგანტი, ბრესტის მეტროპოლია, საფრანგეთი

ინოვაციური თანამშრომლობა და კონტრაქტები ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში

საფრანგეთში, ბრესტის მეტროპოლიის და დიდი ბრიტანეთის, პლიმუთის საქალაქო საბჭოს საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა აჩვენეს, თუ როგორ ქმნის ინოვაციური თანამშრომლობა და ტრანს-სასაზღვრო კონტრაქტები სარგებელს ადგილობრივი ეკონომიკისთვის, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დეკარბონიზაციისთვის.

საფრანგეთში, ბრესტის მეტროპოლია და ცენტრალური და დასავლეთ ბრეტანის ოლქი თანამშრომლობენ „ურთიერთშეთანხმების“ („contrat de réciprocité“) საფუძველზე, რათა დააკავშირონ სასოფლო ტერიტორიაზე განახლებადი ენერჯის წარმოება ქალაქის სიბოლოს და ელექტროენერჯის მოხმარებასთან და ამით რეგიონი ჩამოაყალიბონ, როგორც „მომხმარებელი“ - რომელიც აწარმოებს და მოიხმარს საკუთარ ენერჯის განახლებადი ენერჯის წყაროებიდან. კონტრაქტი საშუალებას აძლევს მათ შექმნან მუნიციპალური თანამშრომლობის ახალი ფორმა ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ბარიერების დასაძლევად. ეს ხელს უწყობს ტექნოლოგიების ერთობლივ გამოყენებას და ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. ერთობლივი ქმედებები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო და ფინანსური შეთანხმებების დადებას ქალაქის მომხმარებლებსა და ადგილობრივ

და რეგიონულად ცენტრალიზებულ ელექტროენერჯის მწარმოებლებს შორის სოფლის ტერიტორიაზე, მაგალითად, ქალაქის საჯარო მომხმარებლებსა და სოფლის ტერიტორიაზე მწარმოებლებს შორის ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულების მეშვეობით.

პლიმუთის საქალაქო საბჭომ თანამშრომლობა ორ სასოფლო ენერგეტიკულ თემთან, რომელთაგან ერთ-ერთი პიონერი იყო განახლებადი ენერჯის პროექტებში ინვესტირების კუთხით, საიდანაც მიღებული მოგება თემის მხარდაჭერას ხმარდება. პარტნიორობის განვითარების მიზნით, განხილული იქნა სახელშეკრულებო შეთანხმებები, როგორცაა ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებები ან ენერჯის შესყიდვის სინთეზური ხელშეკრულებები დიდ ურბანულ მომხმარებელთან. ამან აჩვენა, რომ ბატარეებით ენერჯის დაგროვების სისტემებს და ელექტროენერჯის დამოუკიდებელ კერძო გადამცემ სახებს სარგებელის მოაქვს ადგილობრივი ქსელისთვის, და ასევე ქმნის შესაძლებლობებს ადგილობრივი ორგანიზაციების შემოსავლების მაქსიმიზაციისთვის. ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ამ აშკარა სარგებლის გამო, საზოგადოებრივი მხარდაჭერა ზოგადად მაღალია.



ენერგეტიკული კოოპერატივების მიერ შემუშავებული მზის ენერჯის პროექტები ხელს უწყობს ნიმიზმის დაძლევას - მოგება რჩებათ წევრებს

	Brest métropole	Central West Brittany
High energy consumption	✓	—
RE potential	—	✓

Contract of reciprocity	
Investments	→ Technical engineering
Know-how	→ Communication/ awareness
Purchase of energy	← RE projects
Feedbacks	← Experimentations

ბრესტის მეტროპოლიასა და ცენტრალური და დასავლეთ ბრეტანის ოლქს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულება ხელს უწყობს ტერიტორიებზე განახლებადი ენერჯის ერთობლივი შემავსებელი ქმედებების განხორციელებას (წყარო: ბრესტის მეტროპოლია)



REGENERGY-ის შესახებ

ძლიერი პარტნიორობა ურბანული მოთხოვნისა და სოფლის მიწოდების დასაკავშირებლად

2018-2022 წლებში RegEnergy-ის საერთაშორისო პროექტის ფარგლებში განვითარდა განახლებადი ენერჯის პარტნიორობა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. ვინაიდან ჩრდილო-დასავლეთ ევროპა გამოირჩევა მაღალი დამოკიდებულებით ენერჯის არაგანახლებად წყაროებზე, RegEnergy-მ მიზნად დაისახა არსებული სტრუქტურების დაშლა და განახლებადი ენერჯის გამოყენების გაზრდა მის რეგიონებში. განახლებადი ენერჯის პარტნიორობის შექმნა ურბანულ და მიმდებარე სასოფლო ტერიტორიებს შორის ინვესს სათბურის გაზების ემისიების შემცირებას.

განახლებადი ენერჯის რეგიონების შექმნის მაგალითები

ჩრდილო-დასავლეთ ევროპის შვიდი ქვეყნიდან პროექტის ცხრა პარტნიორმა ა (რეგიონების ცენტრები, ქალაქები, სასოფლო თემები, რეგიონულ სააგენტოები, სამეცნიერო ინსტიტუტები და განახლებადი ენერჯის მწარმოებლები), შეიმუშავეს სტრატეგიები და მოდელები, რომლებიც აჩვენებენ, თუ როგორ შეიძლება ასეთი პარტნიორობის ჩამოყალიბება.

ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში საპილოტე პარტნიორობები შეიქმნა და ინვესტიციები განხორციელდა შემდეგ სფეროებში:

- ინსტიტუციური მექანიზმები რეგიონული მწარმოებლებისთვის,
- განახლებადი ენერჯეტიკული ინფრასტრუქტურის არარსებობა,
- რეგიონული მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვები,
- ქსელების შეზღუდული სიმძლავრისა და განახლებადი ენერჯის მიწოდების შეფერხებების პრობლემის მოგვარება,
- რეგიონული მიწოდებისა და მოთხოვნის პროფილების დაბალანსება.

მაგალითები და ძირითადი დასკვნები შეგიძლიათ იხილოთ ამ ბროშურაში. დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://www.nweurope.eu/projects/project-search/regenergy-renewable-energy-regions/>.



საკუთარი გამოცდილება REGENERGY-ის პარტნიორობიდან



წყარო: 3 Counties Energy Agency

„ირლანდიაში არსებული დაბრკოლებები სხვა წევრ სახელმწიფოებში არსებული დაბრკოლებების მსგავსია. სასარგებლო იყო განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა.“

მაიკლ მერფი, Ormonde Upgrading, ირლანდია

„ბევრი ახალი რამ გავიგე განახლებადი ენერჯის სექტორში ალტერნატივების ამჟამინდელი ევოლუციის შესახებ და გავეცანის სხვადასხვა ქვეყნისა და სექტორის სამართლებრივ ბაზებში არსებულ სხვადასხვა მიდგომებს. სუფთა ენერჯიაზე გადასვლის საფუძვლიანად გააზრებული მიდგომები ჩემთვის ქმედით ინსტრუმენტებად იქცა, ნაცვლად ბუნდოვანი კონცეფციებისა.“

იორიკ შიგტი, უოტერსტრომენი, ნიდერლანდები

„RegEnergy-ის პროექტის დასაწყისში ბევრი დაბრკოლება შეგვექმნა. მიუხედავად ამისა, პარტნიორებმა იპოვეს ინოვაციური გადაწყვეტილებები ამ ბარიერების დასაძლევად და შედეგად ჩამოყალიბდა წარმატებული პარტნიორობა განახლებადი ენერჯის სფეროში.“

სვენია ენკე, კლიმატის ალიანსი, გერმანია

„მე დავინახე, თუ როგორ გარდაიქმნება საერთო იდეები, მიზნები და ღირებულებები კონკრეტულ ადგილობრივ პროექტებად. შთამაგონებელია ევროპული თანამშრომლობის იდეასთან დაკავშირებული ადგილობრივი გადაწყვეტილებების წარმოდგენა, ფიქრი და შემუშავება.“

ჯეფრი ორლანდო, პლანერი, შვეიცარია

ინფორმაცია პარტნიორების შესახებ

კლიმატის ალიანსი
ნამყვანი პარტნიორი
ჰელენ რიზოტი, სვენია ენკე
h.rizzotti@climatealliance.org
s.enke@climatealliance.org
www.climatealliance.org

ბრესტის მეტროპოლია
საფრანგეთი
სილვი მინგანტი, ან-მარი
კაბონი
sylvie.mingant@brest-metropole.fr
anne-marie.cabon@brest-metropole.fr
<https://www.brest.fr>

Flux50
მარკ ვერმერენი, ფრედერიკ
ლოეკესი
marc.vermeeren@flux50.com,
frederik.loeckx@flux50.com
<https://flux50.com/>

პლიმუთის საქალაქო საბჭო
დან ტურნერი, ჯონ გრინი
dan.turner@plymouth.gov.uk,
john.green@plymouth.gov.uk
<https://www.plymouth.gov.uk>

Waterstromen Etten BV
იორიკ შიგტი, მარტინ კლავერი
y.schigt@waterstromen.nl,
m.klaver@waterstromen.nl
<https://waterstromen.nl/>

3 ოლქის ენერჯეტიკის სააგენტო
მაიკლ დორანი, პედი ფელანი
mdoran@3cea.ie, pphelan@3cea.ie
<https://3cea.ie/>

პლანერი
ჯეფრი ორლანდო
geoffrey.orlando@planair.ch
<https://www.planair.ch/>

უოლტონის საინფორმაციო და
საკომუნიკაციო სისტემების
მეცნიერების ინსტიტუტი
შონ ლიონსი
sean.lyons@waltoninstitute.ie
<https://waltoninstitute.ie/>

Ormonde Upgrading Limited
ტომ ნოლანი
tnolan@ormondeorganics.ie
<http://www.ormondeorganics.ie/>

INFRASTRUKTUR & UMWELT
Professor Böhm und Partner
ბირგიტ ჰაუპტერი, სტეფანი ვაინერი,
ვიქტორია პასტერნაკი
info@iu-info.de
<http://iu-info.de>